



ი ვ ლ ი ს ი  
№ 13-14

# ს ი მ ნ ე უ რ ი





# პ ი ო ნ ე რ ი

№ 13-14

ივლისი  
1931  
წელიწადი მე-6  
ჩადაქციის მისამართი:  
აღმასკომის, 7.  
სახელგამი,  
საგეგუმ საქსია

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-  
ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და  
განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური  
აღზრდის მთავარმართველობის შურნალი—გაგვ-  
თათვის.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

- გადამწყვეტი გამარჯვებანი.
- 518 და ჩვენი ამოცანები.
- გარდამავალი დროშა—დ. შამათაფა.
- იუ-იუ—სეზმან ერთაწმინდელი.
- ორი სოციალისტური რესპუბლიკის კულტურული კავშირე.
- რა მიამბო ტაგიმორიმ.
- პიონერები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან ბრძო-  
ლაში—გია.
- ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის—კ. შ.
- მებრძოლი გოგონა—დ. შ.
- ფაშისტურ ქუჩაზე—ადორ გაბორი.
- მე ისინი ვმვი ბრძოლისათვის—ადა რაიტ.
- როგორ ვწეროთ—ირანი.

ტექნიკური მიზეზების გამო ჟურნალის ამ ნომერს  
დააბვიანდა



# გალამყვები გამარჯვებანი

(საქ. კომპარტიის ცეკას ივნი-სის პლენუმი)

ა.-წ. 11-15 ივნისამდე საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქში მოსკოვში მიმდინარეობდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

საქ. კომპარტიის ცეკას პლენუმის დღის წესრიგში იდგა სამი უდიდესი საკითხი, რომლისგანაც დამოკიდებულია ჩვენი წარმატებითი წინსვლა.

ეს საკითხები იყო:

- 1) ტრანსპორტის რეკონსტრუქცია,
- 2) ბოლშევიკური თესვის წინასწარი შედეგები და მოსავლეს აკრეფის კამპანიის ამოცანები,
- 3) ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარების შესახებ.


ეს საკითხები საგრძნობლად სწყვეტენ მიმდინარე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის პროგრამის შესრულებას.

მიუხედავად ტრანსპორტის დარგში დიდი წარმატებითი გაუმჯობესებისა, როგორც მაგალითად, ტვირთის გადაზიდვის და მგზავრების გადაყვანის საქმის ორმაგად გაზრდის მხრივ, 1930 წელთან შედარებით. მიუხედავად 12 ათასი კილომეტრი ახალ რკინის გზის გაყვანის და გამწვევი ძალის 30 პროც. გაზრდისა, 1913 წელთან შედარებით, — ტრანსპორტი მთელი ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, მაინც ვიწრო ადგილს წარმოადგენს, რომელსაც საგრძნობლად შეუძლია ჩვენი წინსვლის შეჩერება.

ც.კ. პლენუმმა დაისახა რკინის გზების ელექტროფიკაციის უდიდესი პროგრამა, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა დაგვაყენოს ტექნიკურად უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნები ამ დარგში.

1932-33 წელს უნდა ჩატარდეს 3.540 კილომეტრი რკინის გზის ელექტროფიკაცია. რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ამ სამუშაოს განხორციელების მნიშვნელობა, საჭიროა უკვე იცოდეს, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1931 წლის 1-ლი იანვრისათვის ელექტროფიკაციაქმნილი იყო 3.833 კილმ., გერმანია 1.550 კლმ. და ინგლისში 927 კლმ. ეს სულ კაპიტალიზმის მთელი არსებობის ეპოქაში.

საჭიროა აგრეთვე ჩვენი მრეწველობის წარმართვა იმგვარად, რომ მან ხელი შეუწყოს ტრანსპორტის რეკონსტრუქციას, უზოუნველყოფს ტრანსპორტი ელექტრო-ენერგიით, რისთვისაც უნდა ჩატარდეს აგრეთვე მრავალი ტექნიკური გაუმჯობესება.



საიზოლიატორო ქარხანა „პროლეტარმა“ შეასრულა სამფინგეგმა

საქ. კომპარტიის ც.კ. პლენუმის მიერ დასასული.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთში მეორე მთავარი ინდუსტრიალური ბაზის ურალო“ კუზბასის შექმნასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება ახალი რკინის გზის მშენებლობა, რომლის ტრანსპორტი უნდა იქნეს ამ უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანის სიმაღლეზე.

პლენუმის მიერ გადაწყვეტილი მეორე მთავარი საკითხია ბოლშევიკური გაზაფხულის შედეგები, რომელმაც დიდი წარმატებები მოგვცა და წინ წასწია ჩვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ც.კ. დეკემბრის პლენუმის დადგენი-

ლებანი საგრძნობლად შესრულებულია, 1931 წელში სოციალისტურმა ელემენტებმა სოფლად შესძლეს აბსოლიუტურად გადაამეტება ინდივიდუალურ სექტორზე ისე, რომ კოლმეურნე გლეხობა გადაიქცეს მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურად და ჩვენი მხარე კი გახდეს ყველაზე უფრო მსხვილ სასოფლო-სამეურნეო მხარედ.

კომმეურნეობანი, როგორც ეს ხიანს პლენუმის შეჯამებული ციფრებიდან, დღეს წარმოადგენენ არა მარტო მარცვლეულობის ძირითად მწარმოებლებს, არამედ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაც.

ამას გარდა ჩვენ გვაქვს საბჭოთა მამულების სათესი ფართობების ზრდა. შარშანდელი 3,2 მილიონი ჰე-

ქტარის ნაცვლად წელს გაზაფხულზე უკვე 7,8 მილ. გვქონდა, რაც მოწმობს, რომ ეს 1931 წლის გაზაფხული ბოლშევიკური ტემპებით ჩატარდა.

მაგრამ საგაზაფხულო თესვის მიღწევები და შარშანდელი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გაკვეთილები გვაფრთხილებს, რომ მეტი მომზადებით შევხვდეთ მოსავლის აკრეფას.

სათესი ფართობების არაჩვეულებრივი ზრდა მოითხოვს განსაკუთრებულ ღონისძიებას მოსავლის აკრეფისათვის, რისთვისაც საჭიროა ახლავე სამზადისს შევუდგეთ.


აუცილებლობას წარმოადგენს აგრეთვე მოსავლის აკრეფის კამპანიის დაკავშირება კოლექტივიზაციისთვის დაკავშირება. დავათავეთ რა კოლექტივიზაცია მარცვლეულობის ძირითად რაიონებში, ჩვენ უნდა შევძლოთ 1932 წლის გაზაფხულზე მისი დამთავრება დარჩენილ მარცვლეულობის და ბამბის რაიონებშიაც.

სოციალისტური მეურნეობის არაჩვეულებრივმა ზრდამ და მრეწველობის ახალმა გიგანტებმა დაუყენეს ახალი და უფრო მეტი მოთხოვნილებები ქალაქის კომუნალურ მეურნეობას.

მოსახლეობის ზრდისა და ქალაქის მეურნეობა — მრეწველობის ერთმანეთთან შეუფარდებლობა, მტკიცე უფრად აღვიღს წარმოადგენს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში, ამიტომ ცეკას პლენუმმა მისამე მთავარ საკითხად დღის წესრიგში დროულად დასვა და სწორადაც გადასჭრა ეს ამოცანა.

ცეკას პლენუმმა, დაისახა რა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ქალაქის მეურნეობის გასაუმჯობესებლად, ამით მისცა დირექტივა ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას ბოლშევიკურად მოჰკიდონ ხელი ამ ვიწრო ადგილის გამოსწორებას.

ჩვენს იგნისის პლენუმის დადგენილებანი უნდა შეიქმნის თითოეული პარტიულის, კომკავშირის და პიონერისთვის მებრძოლ პროგრამად, ეს დადგენილებები მოკლე ხანში ბოლშევიკური ტემპებით უნდა განხორციელდეს მთელი მშრომელი მასის პრაქტიკული მონაწილეობით.



ქიმ-კომბინატის ახალი ქარხანა

# 518 და ჩვენი ამოცანები

„უფელგვარი ცდა ახალი სისტემის შესაქმნელად, ძველი შინაარსის მერყევ საძირკველზე შენდებოდა. იგონებდნენ ალდგენითი პერიოდის შესაფერის მეთოდებს და ფორმებს, იმ დროს, როდესაც უკვე პიონერთა ორგანიზაციის კარებზე რეკონსტრუქციული პერიოდი აკაკუნებდა და ამიტომ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ამსჯრევდა რეკონსტრუქციული პერიოდი პიონერთა მუშაობის შინაარსს, ფორმებს და მეთოდებს“. ამას აღნიშნავდა ამხ. სევერიანოვა პიონერების მუშაობის შესახებ, კომკავშირის მე-9 ყრილობაზე. ჩვენ ვმუშაობდით ძველებულ ყაიდაზე:—კარებზე კი რეკონსტრუქციის პერიოდი გვიკაკუნებდა. რეკონსტრუქციული პერიოდი —გარდატეხის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის პერიოდი.

გაატარო საბჭოთა მეურნეობის რეკონსტრუქცია,—ეს ნიშნავს: „გადააქციო საბჭოთა კავშირი ტენიკურად და ეკონომიურად დამოუკიდებლად, ე. ი. ჩემორჩენილ ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი აქციო მოწინავედ.

წვრილ სამეურნეო გლეხურ ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი აქციო ძლიერ მხარედ—მაღალი განვითარებული მრეწველობით, ძლიერი კოლექტივიზაციაქმნილ სასოფლო მეურნეობით“.

გაატარო ს. ს. რ. კ. რეკონსტრუქცია,—ეს ნიშნავს:—ს. ს. რ. კ. აქციო სოციალისტურ ქვეყნად.

ჩვენი ხანა იწოდება რეკონსტრუქციის ხანად. ჩვენ შევედით სოციალისტის პერიოდში.

ვიხეა დამოკიდებული სოციალისტური საზოგადოებისათვის საძირკველის ჩაყრა?

პარტიაზე, კომკავშირზე, პიონერებზე.

კომკავშირის მე-9 ყრილობაზე თავის სიტყვაში ამის შესახებ ამხ. ვოროშილოვი ლაპარაკობდა:

„ჩვენ უკვე ვაშენებთ საძირკველს ახალი საზოგადოებისათვის და ახლა ჩვენზე, და უფრო მეტად, თქვენზე, კომკავშირელებზე, და იმათზე, ვინც თქვენ ვხედავთ მოგყვებათ,—ჩვენს ნორჩ პიონერებზეა დამოკიდებული, რომ საძირკველზე გაცხოველებით გარძელებს შენება დაიდი სოციალისტური შენობისა“.

პიონერ-ორგანიზაცია არ ჩამორჩენილა. მან თავისი მუშაობით მოიპოვა უფლება სოციალისტზე. ამის შესახებ სამართლიანად ლაპარაკობდა ამხ. სევერიანოვა:

„სკაუტიზმი, ბავშვების ყველა ბურჟუაზიული ორგანიზაციები განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს კაპიტალიზმის გამაგრებისა და მშრომელთა დამონავებისათვის, პიონერ-ორგანიზაცია უმსხვილესი რგოლთაგანია საბჭოთა ქვეყნის პროლეტარულ ორგანიზაციების საერთო სისტემაში. როგორც წარმოუდგენელია სოციალისტური მშენებლობა მშრომელთა ყველა თაობის და, მათ შორის, ბავშვების მონაწილეობის გარეშე, ისე წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყანა პიონერ ორგანიზაციის გარეშე, რის შესახებ ლაპარაკობენ 5-წლედში, სოციალისტის“.



სამხედრო ვარჯიშობა

**ტურ მეურნეობის რიგებში შემავალი 518 გიგანტიური საწარმოები?**

ისინი ლაპარაკობენ ჩვენი წინსვლის შესახებ. ისინი ლაპარაკობენ ბოლშევიკური რემპების შესახებ.

ისინი მოითხოვენ კვალიფიციურ მუშებს.

ისინი მოითხოვენ მომზადებულ შემცველობას, გამობრძნედილ გამძლე კადრებს. ბოლშევიკ-პიონერებს ახალი საზოგადოების ნამდვილ მშენებლებს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ იმისათვის, რომ არ ჩამოვრჩეთ.

„ჩვენ არ გვინდა ჩამოვრჩეთ იმიტომ, რომ ჩამორჩენილებს სცემენ; ჩვენ კი არ გვინდა ნაცემთა რიცხვში მოვყვეთ“—ლაპარაკობდა ამხ. სტალინი.

„არა, არ გვინდა! ძველი რუსეთის ისტორია მდგომარეობდა იმაში, რომ მას განუწყვეტლივ სცემდნენ ჩამორჩენილობისათვის, სცემდნენ მონღოლები, ხანები, ან თურქი ბეგები.

სცემდნენ შვედელი ფეოდალები. პოლონელ-ლიტველ პანები.

სცემდნენ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები, იაპონელი ბარონები, სცემდნენ ჩამორჩენილობისათვის, სამხედრო ჩამორჩენილობისათვის, კულტურულ ჩამორჩენილობისათვის.

სამრეწველო ჩამორჩენილობისათვის,

სასოფლო-სამეურნეო ჩამორჩენილობისათვის.


სცემდნენ იმიტომ, რომ ეს საქმე შემოსავლიანი იყო, სასჯელი კი მას არ მოსდევდა, ხომ გახსოვთ რევოლუციის წინა დროის პოეტის სიტყვები:

„შენ უხვი ხარ, თან უბადრუკი. შენ ძლიერი ხარ, თანაც უძლური დედაო რუსეთისაგ“.

ძველი პოეტის ეს სიტყვები კარგად შეიგნეს ამ უცხოელმა ბატონებმა, სცემდნენ და თან იმეორებდნენ: „შენ უხვი ხარ“, მაშასადამე, შეიძლება რამის წაგლეჯა.

სცემდნენ და დასძინდნენ: „შენ უბადრუკი და უძლური ხარ“.

მაშასადამე, შეიძლება ცემა და ძარცვა დაუსჯელად.



მზადება მინდორში გასასვლელად

ასეთია კაპიტალიზმის კანონი. ჩამორჩენილებს და სუსტებს სცემენ. კაპიტალიზმის მგლური კანონი: ჩამორჩი, სუსტი ხარ, მაშასადამე, შენ მართალი არა ხარ; მაშასადამე, მართალიც ხარ, მაშასადამე, შენ უნდა გერიღონ. აი, რატომ აღარ შეიძლება ჩვენი ჩამორჩენა“.

ჩვენ უნდა გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ან ჩვენ მათ, ან ისინი ჩვენ.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ დავძლეოთ; ჩვენ ვიცით, რომ მათ ჩვენ დავმწეოთ და გაუუსწრობთ.

„კომკავშირი, რომელსაც ჰყავს სამი მილიონი, და პიონერ-ორგანიზაცია ოთხი მილიონი—სულ 7 მილიონი ადამიანი,—აი, ის არმია, რომელიც უნდა დაეხმაროს და დაეხმარება კიდეც პარტიას, რათა იგი ჩქარა დაეწიოს და გაუსწროს კაპიტალისტურ ქვეყნებს“.

ამას ლაპარაკობდა ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი ამხ. კავანოვიჩი კომკავშირის მე-9 ყრილობაზე.

ამის დასამტკიცებლად არის 518 გიგანტიური საწარმოო, რომლებიც ამუშავდება 5-წლედის მესამე წელში.

518 გიგანტი—5-წლედის შვილია. გახსოვდეს, თვითველ ჩვენს მოძრაობას დემ. მტრის მილიონ თვალემათა თვალყური ადევნოს, ეს ნიშნავს ყოველწუთს იყო მზად. შრომისათვის და რომ მტერს ტყვია დაადევნო.

**პროლეტარიატის შემოქმედება**

„10 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავირბინოთ ის მანძილი, რომლი-

თაც ჩამოვრჩით კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებს“—ლაპარაკობდა ამხ. სტალინი, და ჩვენ ამას შევძლებთ.

ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მუშათა კლასის მილიონიანი მასების შემოქმედებითი ენტუზიაზმის წყალობით, სოციალისტური ინდუსტრიის ფოლადი სტეპურ მწკრივში შედის უახლესი ტექნიკის შეიარაღებული 518 გიგანტიური ახალი საწარმო.

**ციფრების მუსიკა.**

ამბობენ, რომ ციფრები ძლიერ მშრალია, მათი წაკითხვა ინტერესს მოკლებულია.

მოუსმინეთ ხუთწლედის სოციალისტურ ციფრების მუსიკას:

95 ახალი, მსხვილი და საშუალო მალარო 518-ის რიცხვში 144 ახალი ქარხანა სადამუშენებლო მრეწველობის.

10 მსხვილი ქიმკომბინატი.


3 ახალი გიგანტი ავტო-ტრაქტორულ მრეწველობისა. 4 ახალი ქარხანა, სასოფლო-სამეურნეო მანაქნა მშენებლობისა.

30 მანქანათ-მშენებელი მსხვილი ახალი ქარხნები.

მოიგონეთ, თუ რა მოახსენა ყრილობას ამხ. ბეზიმენსკიმ ჩვენი ციფრების შესახებ

ქალაქები, ქალაქები, ქალაქები. ელნათურები, ნავთის მადნები... შემხვედრი გეგმა. ფ. ზ. უ. ავტორი სასოფლო მანქანათა მშენებლები მუშგლეხკორი. „დნებრსტროი“ ხუთწლედის სანაპირო კომუნის! რა შეიძლება იყოს ამაზე მშვენება და მხოლოდ ჩვენ გვაქვს ამაზე უფლება.

გადამწყვეტ მესამეში.



ტრაქტორების კოლონა

გადამწყვეტ მესამე წელში შედიან მწყობრში: „მაგნიტოგორსკის“ და „კუნეცკის“ ქარხნების ბრძმედები და მარტენები, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, რომელმაც ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 50.000 ძლიერი ტრაქტორი.

ნიუეგოროდის საავტომობილო ქარხანამ უნდა გამოიჩინოს 140.000 მანქანის წარმოების უნარიანობა წელიწადში.

25.000 მანქანას მოგვცემს წელიწადში ახალი, რეკონსტრუქციამხილი ქარხანა ა. მ. ო.

**და იმ მხარეში,**

რომლის ძირმაგარა ფესვებიანი გახდა აღმოფხვრის საგნად ჩვენი მიზნის თაილნივითერ სიტხადედ იქცა.

სამხარობლო სიტყვა სოციალისტების.

**1931 წ.**

„ჩვენ შევედით სოციალიზმის პერიოდში“, — სთქვა ამხ. სტალინმა პარტიის მე-16 ყრილობაზე.

1931 წელს, სოციალიზმის პერიოდში, 518-ს რიცხვიდან ჩვენ ვლებულვით სოციალისტური მრეწველობის რიგებში:

- 11 მსხვილი ქვანახშირის მაღაროს,
- 9 ნავთის მრეწველობის გიგანტს,
- 14 ქარხანას შავი მეტალურგიის.
- 9 ქარხანას და კომბინატს ფერადი მეტალურგიის.

8 მანქანათ-მშენებელ გიგანტებს: ურალ მანქანათ-მშენებელი კრამატორსკის ქარხანა, ტორფომშენებელი“.

218 მილიონი მან. ღირებულებით. 16 საშუალო მანქანათ-მშენებელ ქარხნებს.

8 ქარხანას, რომელიც უშვებს სადაზღო-ინსტრუმენტალურ საგნებს.

5 სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მშენებელ ქარხნებს.

8 ავტო-ტრაქტორულ ქარხნებს.

14 ქარხნებს და კომბინატებს ქიმიურ მრეწველობის,


8 ფაბრიკას საფეიქრო მრეწველობის.

და ყველაფერი სასაცილო და უთავბოლო, რაც ეკრა გაურკვეველი წიგნის ასოებს, ჩვენ ვაყირავებთ, ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს — ვაშენებთ, ვასწორებთ.

518 საწარმო შედის ხუთწლიდის მესამე წელში საექსპლოატაციოდ. მთელი მსოფლიოს წინაშე.

ს. ს. რ. კ. ჩამორჩენილ ქვეყნიდან გარდაიქცა მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად.

მიუხედავად ყველა სიძნელეებისა, ს. ს. რ. კ. შედის სოციალიზმის პერიოდში და ასრულებს ამ წელს სო-



— სათესი მანქანები —

ციალისტური ეკონომიკის საძირკვლის შენებას.

ცხოვრება ჩვენსკენაა, ბრძოლებს კი ვიცნობთ, ვერსად და ვერასოდეს სიკვდილი ვერ დაგვიუფლებს, დროები

მსოფლიო სახკომსაბჭოების შრომის მიწაზე დაიფუგუნებს.

**ვიბრძოლოთ საწარმოო-საფინანსო გეგმისათვის**

„ხუთწლიდის მესამე წლის საწ.-საფინანსო გეგმა, ქარხნების, ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობების,

კოლმეურნეობების საწარმოო გეგმა.

ეს ჩვენი საბრძოლო მოქმედების გეგმაა, ყოველი ჯგუფისა და რგოლისათვის“.

(ასე განსაზღვრა ყრილობამ ამხ. სეკრეტარატის მოხსენებაში 1-ლი ამოცანა).

თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ საწ.-საფინანსო გეგმისათვის, ეს ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ მძლავრი ბაზების და ჯგუფების გამოცდილების მიხედვით.

**საჭიროა:** ხუთწლიდის მესამე წლის საწ.-საფინანსო გეგმის ცოდნა. ცოდნა ქარხნის, ფაბრიკის, კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის საწ.-საფინანსო გეგმების.

**უნდა იპოვო ამ გეგმაში კუთვნილი ადგილი, იმუშაო უნდა ისე,**

რომ საწარმოო-საფინანსო გეგმისათვის მარტოდენ პიონერები კი არ იბრძოდეს, არამედ ყველა ყმაწვილი, რომლებიც ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობების და საბჭოთა

მეურნეობების ირგვლივ ცხოვრობენ. მოზრდილ მუშებთან და ახალგაზრდა კომკავშირის წევრებთან ერთად ვილოთ მონაწილეობა გარღვევებთან ბრძოლაში.

კოლმეურნეობებთან ერთად ვიბრძოლოთ ბოლშევიკური მძლავრი ტემპებისათვის. შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, მუშებთან და კოლმეურნეობებთან ერთად ვიბრძოლოთ,

**პროდუქციის კარგი ხარისხისათვის, სოციალისტური რაციონალიზაციისათვის,**

**თვითღირებულების შემცირებისათვის,**

**შემხვედრის საწარმო-საფინანსო გეგმისათვის,**

**სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვეთლობისათვის.**

ეს არის — საბრძოლო ამოცანა პიონერ-ორგანიზაციისა კომკავშირის მე-9 ყრილობის შემდეგ.

ეს არის — კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის გენერალური ხაზი.

ამ გენერალური ხაზისათვის ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელი სიხსნის წვეთამდე.

**კოლექტივიზაციისათვის.**

„ხუთწლიდის ბოლოს საბჭოთა კავშირის კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრებული უნდა იქნეს“.

ასე ლაპარაკობდა ამხ. სტალინი პარტიის მე-16 ყრილობაზე.

სოფლად, ისევე როგორც ქალაქშიც, ჩვენ უნდა გადავიდეთ უფრო გადამწყვეტ შეტივაზე.

პარტიისთან, მუშათა კლასთან, კოლმეურნეობებთან და უფრობებს გლეხობასთან ერთად ჩვენ უნდა განვამტკიცოთ კოლმეურნეობები, დავეხმაროთ საბჭოთა მეურნეობებს;

უნდა ვაწარმოოთ მუშაობა ოარიბსა და საშუალო გლეხობის შორის, მათი კოლმეურნეობებში მისაზიდად, რათა სინამდვილეში გავატაროთ მთლიანი კოლექტივიზაცია. ამ დროს უფრო ძლიერად უნდა ვებრძოლოთ კულაკებს, გამოვამუქლოთ ისინი, და აღმოვფხვროთ მათი კონტრ-რევოლუციონური საქმიანობა.

ჩვენ უნდა გავხსოვდეს, რომ კულაკები კაპიტალისტების უკანასკნელი აგენტები არიან საბჭოთა კავშირში: კულაკებთან ბრძოლაში უნდა განვამტკიცოთ ჩვენი პიონერთა რიგები. კარგა უნდა ვიცოთ ის ხელშეკრულება, რომელიც ჩვენ მიწასაკომთან დავდეთ.

ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ბოლშევიკურად უნდა გავატაროთ ის ცხოვრებაში, უნდა შევასრულოთ ეს ხელშეკრულება, უნდა ჩავაბათ მუშაობაში კოლმეურნეობის და ღარიბ გლეხების ბაჭვები. გახსოვდეთ, რომ უახლოეს დროში უნდა გავიზაროთ 10 მილიონამდე. უნდა შიამოფნოთ, თუ როგორ შევასრულებთ ჩვენზე დაქსრებული სახელმწიფოებრივი და-

ვალება, როგორ წმენდის სან-  
ვაქრობასთან, კოლმეურნეობასთან  
და მეფრინველეთა კავშირთან დადებულ  
ხელშეკრულებას.

უნდა დავინახოთ საბჭოებს ჩვენი  
განაწესების შესასრულებლად, აქ  
უნდა ვიყოთ მუდმივ მომუშავეებად  
და არა დროებით სტუმრებად. საბ-  
ჭოების, კომუნების და კოლმეურნე-  
ობების მოშობის შესახებ ჩვენ უნდა  
ვესაუბროთ გლეხებს.

ისინი უნდა მივიზიდოთ კოლმეურ-  
ნეობებში და საბჭოების სექციებში  
სამუშაოდ.

### ტენიკისა და კოლიტენიკის სათვის

„პოლიტენიკური სკოლისათვის  
ბრძოლა, — ბრძოლა ახალი კადრე-  
ბისათვის, რომელსაც ასე ძლიერ  
საჭიროებს ახლა ჩვენი ქვეყანა“.

ასე ლაპარაკობდა ამხ. სევერიანო-  
ვა.

თქვენ თუ იცით რას ნიშნავს — იყო  
ნასწავლი?

რასაკვირველია, ვიცით, — უბასუ-  
ხებოთ თქვენ.

ეს ნიშნავს წერისა და კითხვის ცო-  
დნას?! — არ არის მართალი! საბჭოთა  
კავშირი ნასწავლს უწოდებს არა  
იმას, რომელსაც შეუძლია წერა და  
კითხვა, არამედ იმას, რომელიც შეს-  
ძლებს გაუძღვეს მანქანას, — რომელ-  
მაც იცის, თუ როგორ მუშაობენ ფა-  
ბრიკები და ქარხნები, მას, რომელიც  
იცნობს საბჭოთა ტენიკის საფუძე-  
ლებს!

პოლიტენიკური ცოდნით შეიარა-  
ლება ნიშნავს შრომისათვის მეცნიერ-  
ულად და ტენიკურად მომზადე-  
ბას.

ამხ. კრუპსკაია ასე აგვიწერს ჩვენი  
ცხოვრების ახლო მომავალს.

„ახალი ტენიკა ადამიანებს მოხ-  
ბავს, რომ ისინი შრომისათვის მეც-  
ნიერულად და ტენიკურად კარგად  
იყვნენ მომზადებული.“

თეთრხელებიან ბატონებს არ ექნე-  
ბათ ადგილი. სოფლის მეურნეობის  
კოლექტივიზაცია თანდათანობით  
ამოავსებს იმ უფსკრულს, რომელიც  
არსებობს ქალაქსა და სოფელს შო-  
რის.

უკვე იბადება ახალი მუშა-ადამი-  
ანი სოციალისტური საზოგადოებისა,  
ზამთრობით ის იმუშავებს ქარხანაში  
დაამზადებს ტრაქტორებს, კომბაი-  
ნებს, ავტომობილებს, თვითმფრინა-  
ვებს, დაბეჭდავს მილიონ წიგნებს,  
დაამზადებს მანუფაქტურის კილომე-  
ტრებს, ყველაფერს რაც ესაჭიროება  
ადამიანს ცხოვრებისათვის, მუშაობი-

სათვის და სიხარულისათვის. ზაფხუ-  
ლობით კი იგივე მუშა ადამიანი გაე-  
მგზავრება შორეულ მინდვრებში, რა  
თა იქ თავის მომუშავე ხელებით გა-  
ნაახლოს მიწა, გამოიწვიოს სასისოცხ-  
ლოდ ახალი მოზარდი და ცხოველი  
სამყარო. ზამთრობით იმუშავებს 5 6  
საათს, თავის დაზგასთან, მუშათა  
უნევერსიტეტების ლაბორატორიებში  
და მდიდრულად მოწყობილ ყველასა  
თვის ხელმისაწვდომ ბიბლიოთეკებ-  
ში, — ისე, როგორც ოცნებობდა ილი-  
ჩი. წიგნზე მოხრილი საბჭოთა ქვეყნის  
ეს ახალი ადამიანი შეიარაღდება ცო-  
დნის მთელი მარაგით და ზაფხულზე  
კი გამოიყენებს საქმეში, მიიღებს რა  
უთვალავ სიმდიდრეს მიწის წიაღი-  
დან, მანამდე გაუვალ ტყეებდან, ყრუ  
ველებიდან და ოდესღაც მკვდარ  
უდაბნოებიდან“.

რა გვესაჭიროება ამისათვის ჩვენ?  
ჩვენ გვესაჭიროება: პიონერები-რა-  
ციონალიზატორები.

პიონერები-გამომგონებლები,  
არა მწიგნობოულ „შკოლნიკები“,  
არამედ „შკოლნიკები“ ქარხნის ხე-  
ლოსნები.

ამიტომ სკოლიდან ყოველმა ჯგუ-  
ფმა უნდა შექმნას ქარხნის საამქრო,  
უნდა მოაბრუნოს სკოლა არა მარტო-  
ოდენ პირით ქარხნისაკენ, არამედ  
დაუკავშიროს სკოლის გეგმა საწარ-  
მო-საფინანსო გეგმებს.

ჯგუფის საბჭო, მოწაფეთა კომი-  
ტეტი და ყველა ორგანიზაციები ე-  
ლდებული არიან გაშინჯონ, თუ რო-  
გორ ტარდება წარმოებასა და სკო-

ლას შორის დადებული ხელშეკრუ-  
ლება.

რა არის მაინც ყველაზე სევერესი-  
მები, ურომლისოდაც არ შეგვიძლია  
იყო ტენიკურად და პოლიტენიკურ-  
ად მომზადებული?

ეს არის საყოველთაო სავალდებუ-  
ლო სწავლება.

მამასადამე:

დაწყებული საყოველთაო საჯალ-  
დებულო სწავლებიდან პოლიტენი-  
კურად განათლების გზით სკოლებ-  
ში, ფ. ზ. უ. შ. კ. მ. და ქარხნებში.


ჩვენ ვიზრდებით პოლიტენიკურ-  
ად მომზადებულ ადამიანებად.

ჩვენ ვიქმნებით ისეთ ადამიანებად,  
რომელთა შესახებ წერდა ამხ. კრუ-  
პსკაია.

ბრძოლების წინა დღეს

საბჭოთა ქვეყნის კომკავშირი, სა-  
წარმო - საფინანსო გეგმისათვის,  
კოლექტივიზაციისათვის, სოციალის-  
ტური შეჯიბრებისათვის და დამკვ-  
რელობისათვის ბრძოლით, ხმას აძ-  
ლევდა თავდაცვის უნარიანობას, სო-  
ციალიზმს, საბჭოთა კავშირის დაუძ-  
ლევლობას.

ინტერნაციონალურ მუშაობის გან-  
მტკიცებით, პოლიტენიკაციით, საბ-  
ჭოთა კავშირის მშრომელებთან ერ-  
თად ბრძოლით, საბჭოთა აღმშენებ-  
ლობით, 5 წლედის 4 წლედში გატა-  
რებით, კომკავშირის ხელმძღვანელო-  
ბით, პიონერთა მუშაობის ხარისხის  
გაუმჯობესებით, პიონერები უერთ-  
დებიან კომკავშირის ხმას.



სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა

# გარდამავალი დროშა



თქვენ გამარჯვების ორდენი გმზენით, რაც ამ სიხარულს საფუძვლადუძევს. თქვენი ქარხანაც ათასებს შორის, სოციალიზმის აშენებს ფუძეს. ცა კრიალებს და დაზგებს ებმებია... თვალთ ბასრი ხედვა სიჩქარემ მოსჭრა.

და დღეს ქარხანამ დამკვეთი ტემპით

გარდამავალი მიიღო დროშა. შრომის გმირია, ასე რომ იბრძვის თავნამოდებით, როგორც სკვითელი, რესპუბლიკაში ვგონებ თქვენც იცით: ვენტუზიანობით გახდა პირველი. მწყობრად ტემპები ბოლშევიკულა ათასებს შორის ისევ ჩადგება, თუით სამ-ფინ - გეგმა დიდ ხუთ-წლიდევით

ხორცს ისხამს, ხდება გადაჭარბებით. და არ რჩებია, არც წინ გარბიან მკვეთრი მკვერდები ცეცხლში ნადები, მთელ რესპუბლიკის შრომის არმია საამქროებით და ბრიგადებით.

დაე, იზარდოს ხუთწლიდის ღერო სოც-მშენებლობის გამახვილებით. მზად ვართ ვაშენოთ - მზად ვართ ვიმღეროთ ბოლშევიკური მოძახილებით...

რეკონსტრუქციის ტემპებმა გვზარდეს,

რჩინეულ ვნებით, ცეცხლურ დინებით,

რჩეულთა შორის რჩეულებს გვანდენ თვით კომუნის ბრიგადირებიც. ის კი გმირია ასე რომ იბრძვის თავნამოდებით, როგორც სკვითელი. რესპუბლიკაში ახლა თქვენც იცით: დამკვერღთა შორის გახდა პირველი. ცა კრიალებს და დაზგებს ებმებით. ბასრი თვალთ ხედვაც სიჩქარემ მოსჭრა...

ასე დავკრით და მალალ ტემპებით გარდამავალი მივიღეთ დროშა.

**დავით შამათავა**

## ა.

— მაცა, მოვიდეს ჩუ-დე?! — და-ემუქრა, ტირილით პატარა გოგონა ვაქარ ლიუ-ხუს.

— რა მან ყური აუწია და უქვირა: — არაშხადა, ქუჩის ბაქშო, ქური-ლო...

— ან თუ ვნახე, სადმე იუ-იუ ჩე-მი ძმა...

— ხა, ხა, ხა... შენ ძმას წააცალეს თავი შარშან.

— რადა სტიოი იუ-იუ, — შიი-ი-თხა შან-სი. პატარა რიკმა და ეტლი შეაჩერა, მიუალერსა.

— რომ გამოვიარე, ხურმა ეგლო ძირს, ავიღე და...

და კედელ-კედელ გაჰყვა.

— მოდი, იუ-იუ სოო, რომ ყუცხო-ელთა და შიდიდართა ბავშვები არ კატარო, ახლა სინ ჩაჯიქ — და შან-სი ჩაჯიქ ეტლში და ქეას დაავლო ხელი.

— ა... ამ ბაქშმა საიდანა იცის კინა ჩუ-დე?!

ვერ დაასრულა გაკვირვება, ლ-იუხუმ, რომ შან-სის მიერ ნასროლმა ქეამ სათვალეები ჩაუძსხვრია; მან ხელი იტაცა, მაგრამ იიდრე გონს მოვიდოდა, შან-სი უკვე შორს მიაჭროლებდა იუ-იუს.

ამბობდენ, რომ ჩუ-დეს წითელი დივიზია ჩანშას მიდამოებში დათარეშობსო და ლარბთა უბანი მოუთმენლად ელოდა მას, როგორც მხსნელს—უცხოელებისა და ნანკინელებისაგან.

ყველას პირზე იკერა ჩუ-დე, როგორც ლიგინდაროოი გმირი.

## ბ.

— სადაა, შორსაა? — შეეკითხა იუ-იუ, რა შან-სიმ უთხრა:

— გინდა, იუ-იუ წავიდეთ ჩუ-დე-სთან?

— ძია შუტს-იანმა სთქვა, რომ აგერ, აი იმ სოკებს იქითა ხეობა-შიო. — და შან-სიმ ხილი გაიშვირა დაბალ ქედებისაკენ.

— წამოვალ, თავრამ მე, რომ შან-სავით ვერ ვიოი? ჩვენ ხომ კალა-პოტში გვიმახინჯიბენ თხებს და...

— ვიაროთ ნელა; ხან კი ზოროზე შეგისვამ.

— ხვალ დილით, თორემ მომწყინდა, მამასავით, რიქშობა. ეგების შენი ძმაც მასთან იყოს.

— ძმა? აკი ლ-იუხუმ სთქვა — თავი მოსჭრესო?

— ძია შო-იანმა თქვა, რომ სიკვდილით დასჯის წინა ღამეს დარაჯ ჯარისკაცის შემწეობით გაიქცაო...

— ო, იუ-შენ! — აღმოხდა იუ-იუს და პაწია ხელები სოკებისკენ გაიშვირა.

— სდეგასიო მიხვალთ თხუნელოებო... — შეაჩერა გუშაგმა ხილზე.

— ჩვენა, ძია... აგერა მდინარის გაღმა... ბიძია გეყავს იქ... გვშია ეგების მან გეყამოს... — მოხერხებულად მიუგო შან-სიმ ნანკინელ ჯარისკაცს.

— გშიათ?.. ჰმ. — დათქირდა გუშაგი — ეს იმ დროს, როცა ყოცხო-ლებს გააქვთ ჩინეთის სიმდიდრე და ჩვენი გენეროლებიც მათ ეხმარებიან... — მოსწყდა მის ტუჩებს, თავისთვას.

— ესაა?


— არა, ეს ნანკინელია, ჩა...-ს ჯარისკაცებს მკვლავზე წითელი ლენტი აქვთ. — ჩურჩულით მიუგო შან-სიმ.

— გაიარეთ, ოლონდ არავის უთხრათ, რომ ამ ხილზე მე გაგიშვით.

— კარგი, ძია...

— აი, ბრისჯი ქამეთ — და ჯიბიდან ამოღებული ბრინჯი გაუწოდა.

— რა კარგად მოგვექცა, ეგ როგორი ნანკინელია?.. — უკვირდა იუ-იუს



სოფ. კვადუაში (ზუგდიდის მაზრა) საბჭოთა მეურნეობა.



რა ხილს გასკოინ, მაგრამ შან-სიმ მიუგო:

— განა ყველა ერთია?.. ნანკინელებს ხომ ძალად გაჰყავთ ჯარში ჩაღბი და ალბათ ეგეც ერთი მათგანია!..

— ა! გაიკვირვა სამხედრო კომანდარმა და სათვალეები გაისწორა. მიწინავე საგუშაგოს უფროსმა კარაქში რომ შეიყვანა ბავშვები და ღიმილით უთხრა:

— ამხ. იუ-შენ, ეს ბავშვები ჩანაშაიან ყოფილან, წინა ხაზზე მოსდგომოდინ ჩვენს საგუშაგოს და გადომცეს აოიიოლებმა. ამხ. ჩუ-ლისა და შენს სახლოს ახსენებენ და გამოკითხე.

— რა გქვია ბიჭუნე? — ადგა კომისარი, მივიდა თავზე ხელი გადაუსვა და ვიღრო მიუგებდა:

— შან-სი.

გოგონას მიუბრუნდა:

— შენა, პატარა?

— მე?

— მარა, მაცა... — დააჩიროს, შუბლზე ხელი გადასვა, კიდევ დახედა, აიყვანა მუხლზე დაისვა. — ა?

— იუ-იუ!

— იუ-იუ?!

— იუ-შენ?!

— ჩემო პაწია დაიკო, შენ, აქ? ცოცხალი?! თითქოს ისე გავიგე, რომ როცა მამა მოკვდა, იუ-იუ ამერიკელმა მისიონერმა წაიყვანაო! ა?! ან როგორ მოგვაგენით აქა?!

— გლენებმა მოგვასწავლეს. — იუ იუს პასუხზე შან-სიმ დაატანა მორცხვად:

— ჩვენ მოვიდით, რომ თქვენთან ზრძოლა ვისწავლოთ და გადავუხადოთ იმათ, რაც გვაწვალეს, გვაშიშვილეს...

— ყოჩაღ, პატარა ჩინელო! ტაში დაუტრა წინა საგუშაგოს უფროსმა.

— პატარა მშრომელო ჩინელო — ღიმილით შეეოსწორა იუ-შენმა.



■ ბერნარდ-შოუ მოსკოვში ■

— ო, — მაპატიეთ, ამხანაგო იუ-შენ, ვერ მიიჩვიე და...

— მაშ ხვალ ამხანაგო იუ-შენ, განთიადისას ჩანაშაზე შეტევა!.. — კარავში შემოსვლისთანავე სოქვა და ქარტას დახედა გამხდარი სახის, მაგრამ ენერგიული გამომეტყველების კაცმა.

— არის, ამხანაგო ჩუდე! — მიუგო იუ-შენმა და ბავშვები გააცნო.

— ა?!

— ესაა ძია ჩუ-დე?!

ბავშვებმა პირი დაადეს...

2. — შა!შა!შა!.. — შესძახა წითელმა დივიზიამ, ჩუ-დელების მოულოდნელმა თავდასხმამ ურიცხვი ნანკინელები უკან დაიხია.

— ო, იუ-შენ, ამ ძიას ხელს ნუ ახლებთ... ამან ბრინჯი გვაჭამა!.. — და იუ-იუმ ხელი დაუჭირა ერთ ტყვე ნანკინელთაგანს.

— გმადლობ, ამხანაგო, — ხელი გაუწოდა იუ-შენმა ჯარისკაცს.

— ...და, თუ შეიძლება, ჩემი თოფი თქვენ გემსახუროთ. — ითხოვა ჯარისკაცმა გაუბედავად.

— ჩვენიც... — მიჰბადეს სხვებმაც.

— დაუბრუნეთ იარაღი ამ ამხანაგებს — იყო ჩუ-დეს ბრძანება.

3.

— აჰ!.. — გულზე ხელი იტაცა იუ-შენმა, როცა მხიმ ქალაქს გადმოხედა, მან თავის ხილით ასწია წითელი დროშა ნანკინელების ნაშტა-

ბარზე და სადოაც, ვილაც ჩასაფრებულის ტყვიამ მიაგნო..

— რა მოხდა?..

— ა?!

— ამხანაგებო, მე ეკვდები, მარა თქვენ მაინც წინ. ახალი ჩინეთი... კომუნა... ო, მზე... — მიმართა იუ-შენმა შემოხრილო ამხანაგებს და შიშავედავი თვალეები მიმოაელო ირგვლივ. ვილაცას დაუწყია ძებნა.

— პატარა იუ-იუ... დაიფარეთ... ამხანაგო ჩუ-დე... თქვენც ამხ... ანაგებო..

— სადაა?

— ჩვენი დივიზია იშვილებს მას, და იმ ბიჭუნას, გზას, რომ გვასწავლიდა..

— იუ-შენ! — შეჰკვივლა გოგონამ და ზედ დაეცა ძმას.

დროშა ჩუ-დემ ოდნავ იახარა იუ-შენზე, როცა ბუკმა დივიზიას ამცოი, საშუთხარო ამბავი.

— გავჩხრიკეთ მთელი სახლი, ამხანაგო შეთაურო, მარა ამ კაცის შუტი ვერავინ ვნახეთ დამალულ ბინაზე.. აი, ესეც ინგლისური თოფი... ახალი ნასროლია... — განუცხადა ერთმა არმიელთაგანმა.

— ვინაა?..

— ლ-იუხუ! — შეჰკვივლა იუ-იუმ და გაქანდა დაპატიმრებულისაკენ; — ავიდა მაგიდაზე, რომლის წინაც ის იყო წამომდგარი და პატარა ხელები ყელში სტაცა, კბილებით ჩააფრახდა, — ამან ხომ ყოჩი ამხანა ერთი ხურმისათვის?! აი!..

— კედელთან! — ამ ხვამ შეაჩან ხარა არე...

სეზმან ერთაწინდელი



■ ვარჯიშობა ბანაკში ■


# ტრი სოციალისტური ჩიხუპლიკის კულტურული კავშირი

## საბჭოთა უკრაინის კულტურის დეკადა

ა. წ. იენისის ბოლოს საქართველოში დაიწყო და ტარდებოდა საბჭოთა უკრაინის კულტურის დეკადა, —რომელსაც უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს ორივე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკისათვის, ურთიერთ მასის კულტურული კავშირის დასამყარებლად და სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტის მიღწევების გასაცნობად.

უკრაინის დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ —უკრაინის სოც. საბ. რესპუბლიკის განათლების კომისარის ძირადგილე პოლიციკი, პროლეტმწერალთა ასოციაციის გენერალური მდივანი მიკიტენკო, უცხოეთთან კულტურული კავშირის თავმჯდომარე მაზურენკო, უკრაინის სახელგამის თავმჯდომარე და სხვა კულტურულ და მეცნიერულ საზოგადოებათა წარმომადგენლები. 3 ივლისს ეწვიენ საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს, საქ. კომპარტიის ცეკას მდივანს ამხ. ს. მამულიას, და გ. დევიდარიანს და შემდეგ ა.კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მამია ორახელაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ როგორც უკრაინას, ისე ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა, სდგას სოციალისტური მშენებლობის დიად ამოცანების განხორციელების ერთ მავისტრალზე. ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალმა რესპუბლიკებმა, რუსეთის გმირული პროლეტარიატის დახმარებით, შექმნეს ეროვნულ კულტურის განვითარების მტკიცე საფუძველი.

ამხ. მ. ორახელაშვილმა დელეგაციის წევრებს დაწვრილებით გააცნო ამიერ-კავკასიაში კოლექტივიზაციასა და მთელი სახალხო მეურნე-




უკრაინის სსრ დელეგაცია

ობას მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. შემდეგ ამხ. ორახელაშვილმა დელეგაციას განუმარტა ეს განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ახასიათებენ ამიერ-კავკასიას, რომელსაც წარსულში მონარქიზმი ღრღინდა და ავიწროვებდა პოლუჯაჭურად და გკონომიურად, და შემდეგში დღ.თი-დღე თუ როგორ ნადგურდებოდა მთელი ა.კავკასიის დაშნაკების, მუსავატელების და მენშევიკების პოლიტიკის წყალობით. ჩვენნი მიზანია, ძირფესვიანად აღმოვფხვრად ამ შავნენელი წარსულის ნიშნები, ცალკე რესპუბლიკას განვი-

თარებისათვის შევუქმნათ ნორმალური პირობები, რომ რაც შეიძლება ის მალე გაუთანასწოროდეს წინ წასულ მოძმე რესპუბლიკებს.

1 ივლისს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში უკრაინის კულტურის დელეგაციასთან, ფაბ-ქარხკომეზსა და საქართველოში უკრაინის კულტურის ათლეურის ჩამტარებელ კომისიასთან ერთად მოწვეულ თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, მოხსენებით, უკრაინის ეროვნულ კულტურული აღმშენებლობის შესახებ, გამოვიდა უკრაინის განათლების სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. პოლოცკი. მოხსენების დასაწყისში



მუხათა კულტურისა და დასჯ

ამს. პოლოცკიმ აღნიშნა, რომ საქართველოს და უკრაინის წარსულს ბევრი რამ აქვს საერთო. საქართველოც და უკრაინაც. —საქვე მომხსენებელმა, —იყენენ რუსეთის თვითმპყრობელის კოლონიები. ამ გარემოებამ სავსებით გააადვილა ერთ-ვე ერის ნაციონალური კულტურა.

უკრაინის კულტურის განვითარება დაიწყო მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. პირველ სამი წლის განმავლობაში უკრაინის პროლეტარიატს უხდებოდა სასტიკი ბრძოლის წარმოება სხვადასხვა კონტრრევოლუციონურ ორგანიზაციებთან. პროლეტარიატის მთელი ყურადღება მიქცეული იყო კლასიურ მტრების დამარცხების საქმეზე. და მხოლოდ 1920 წლიდან პროლეტარიატის მთელი ენერჯია მოხმარდა უკრაინის კულტურულ მშენებლობის საქმეს.

ათი წლის განმავლობაში უკრაინის აქვს ძალიან დიდი მიღწევები მშენებლობის ყველა დარგებში. უკრაინა გადაიქცა „დენპროსტროების“, „ტურბინსტროების“, „ტრაქტორსტროების“ ქვეყნად. უკრაინაში ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო შოპრაობა. ამჟამად კოლმეურნეობაში გაერთიანებულია მეურნეობის 70 პროცენტი. სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებამ მოგვცა საშუალება გაგვეფართოებინა ჩვენი ნაციონალურ-კულტურული მშენებლობა.

ჩვენს წინაშე წარმოიშვა წერაკითხვის უცოდინარობის მოსაპობის ამოცანა. ამ ამოცანის შესრულებას ჩვენ აქტიურად შეუდევით.

ჩვენს მშენებლობას საგრძნობლად აფერხებს პროლეტარულ კადრების სიმცირე. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენ მივიღეთ სათანადო ზომები; თუ მეფის დროს უკრაინაში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ამჟამად ამ მხრივ უკრაინა უზრუნველყოფილია.

დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ ხელოვნების განვითარების საქმეში. რევოლუციამდე უკრაინაში არსებობდა ე. წ. ყოფა-ცხოვრებითი უკრაინული თეატრები, ეხლა კი ჩვენ გვაქვს ისეთი დიდი და იდეოლოგიურად გაფორმებული თეატრები, როგორცაა, „ბერუნელი“-ს, რევოლუციის სახელობის და სხვ.

თუ მეფის დროს მშრომელთა ფართო მასები იცნობდნენ 'ხოლოდ მეგჩენკოს და ისიც ზეოლეედ, ამაჟამად მხოლოდ მასები იცნობენ ათეულ პროლეტარულ საუკეთესო მწერლებს.

საქიროა, რომ გაერთიანებული ძალისხმევით ჩვენ შევებრძოლოთ ყველა სიძნელეებს, გახვამტკიცოთ კავშირი და ბოლშევიკურად შევასრულოთ კულტურულ მშენებლობის ყველა ამოცანები. ეს კავშირი უკვე არსებობს. უკრაინის კულტურის ათღლიურმა საქართველოში, უნდა მოგვცეს სათანადო შედეგი.

3 ივლისს საღამოს ხელოვნების სახელეში მოხდა უკრაინელი და ქართველი მწერლების შეხვედრა.

კრების ხელძღვანელმა ამხ. შ. რადიანმა კრების დამსწრეთ გააცნო უკრაინელი და ქართველ მწერლების შეხვედრის მიზანი.

ამხ. რადიანის შემდეგ, უკრაინაში კულტურის გიგანტურ ზრდის ნათელ და განსახორციელებელ სურათს ხატავს უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობის გამგე ამხ. კრიხი, ოქტომბრის რევოლუციამდე, ამბობს ის, — უკრაინული კულტურა თითქმის არაფერს არ წარმოადგენდა, მეფის რუსეთი ჩანასახშივე ახრობდა უკრაინულ კულტურას და სდევნიდა მას. შონარქია ისე შორს წავიდა, რომ უკრაინელების ერის არსებობაც კი უარყო და მონათლა ის „მალოროსიად“.

ამ უმსგავსოებას ბოლო მოუღო ოქტომბრის რევოლუციამ. საბჭოთა უკრაინა არის მისი პირმო. უკრაინის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ისტორიაში ჯერ ჩაატოხარ თავდადებით იბრძოდნენ რევოლუციის მესანარჩუნებლად და კიდევ გაიმარჯვა.

ნის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ისტორიაში ჯერ ჩაატოხარ თავდადებით იბრძოდნენ რევოლუციის მესანარჩუნებლად და კიდევ გაიმარჯვა.

— თუ როგორ დაეწავა უკრაინის მშრომელი ხალხი ახალ კულტურას, ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ის, რომ ამჟამად 30 მილიონ მცხოვრებიდან 15 მილიონი სწავლობს.


მარშან უკრაინაში სულ დაიბეჭდა წიგნები 102 მილიონი ტირაჟით, წელს დაიბეჭდება 182 მილიონი ცალი წიგნი. ასე რომ თითოეულ უკრაინელზე წელიწადში მოდის 6 ახალი სახელწოდების წიგნი.

ამჟამად უკრაინაში გამოდის 680 სახელწოდების გაზეთი, აქედან 20 ცენტრალურია; ცენტრალურ გაზეთებიდან 18 უკრაინულია, დანარჩენი რუსული, ბერძნული და სხვა. ახლო ხანში დაიწყება ორი ფაბრიკა წიგნის აგება, ყველაფერი ეს ლენინურ ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგია.

უკრაინაში ლიტერატურულ მოძრაობის შესახებ ვრცელი სიტყვით გამოდის უკ. პროლ. მწერალთა ასოციაციის გენ. მდივანი ამხ. მიკიტენკო.

ჩვენს კულტურას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. უკრაინული და მწერლობითი კულტურა იწყება მე-18 საუკუნიდან. არც ამ ხნიდან მოკიდებული, ოქტომბრის რევოლუციამდე. უკრაინულ კულტურას არ ქონია თავისუფლად განვითარებისა და გაშლის საშუალება. ერთ ერთი მწერალი. რომელიც იბრძოდა თავის დროს უკრაინაში სოციალურ უკუღმართობა წინააღმდეგ, მშრომელი ხალხი კეთილდღეობისათვის — იყო ტარას შევჩენკო.

შევჩენკოს ასეთი მეამბოხეობა ჰუნებრივი იყო, რადგან ის ეკუთ-



ვნოდა ხალხის უღარიბეს და ყველა-  
ხე შევიწროვებულ. უფლება აყრილ  
ფენას — ის იყო ყმა გლეხის შვილი.

ჩვენ გვყავდა ჩვენი ევდომვილი  
და ნინოშვილი, ივანე ფრანკო და  
კაცუბინსკი. ფრანკო იყო მჭედლის-  
შვილი და მისი სოციალური წარმო-  
შობა, მას აყენებდა დამონებულთა  
განთავისუფლებისათვის მებრძოლთა  
პირველ რიგებში. ამ ბრძოლვით მისი სა-  
ნიმუშო ნაწარმოებია „ფატა მორგა-  
ნა“


გვყავდა ილია ჭავჭავაძე და აკაკი  
წერეთელიც.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ  
ძველი რეაქციონერ, ბურჟუაზიულ  
ბრძოლას დაუპირდაპირდა სამოქა-  
ლაქო ომებში გამობრძმედილი რი-  
გებიდან გამოსული პროლეტ. მწერ-  
ლები. მაგრამ მიუხედავად ამისა  
კლასიურად უცხო მწერლები კვლავ  
განაგრძობდნენ არსებობას. ზოგიერთი  
მათგანი შეტევაზედაც გადადიოდნენ  
პროლეტარულ მწერლების წინააღ-  
მდეგ. რეაქციუნერ მწერლების თვალ  
საზრდო წარმომადგენელი მაქსიმ რო-  
ლსკი — 1922 წ. დასცინოდა უკრაი-  
ნის პროლეტარიატს.

ამ რეაქციონალურ და ბურჟუაზი-  
ულ შოვინისტურ მწერლობას, პოზი-  
ციებს, თანდათან აკლიდნენ პროლე-  
ტარული მწერლები, რომელთა რიგე-  
ბი დღითი დღე ძლიერდებოდნენ და  
ძლიერდებიან. ამ რიგებს შეემატენ  
დონბასელი, სამოქალაქო ომებში გა-  
მოწრთობილი პოეტი ელ. სოსიურა,  
მიკოლა ხვილეველი, ივანე კულიცი,  
ტიჩინა, კოციუბა, მიკოლა კულიცი  
და სხვა.

ამავე დეკადის ჩატარებაში მონა-  
წილეობდა აგრეთვე უკრაინის ცნო-  
ბილი რევოლუციონური თეატრი  
„ბერეზილი“, ცნობილი რეჟისორი  
ლეს კურბასის ხელმძღვანელობით,  
რომლის გასტროლები ტფილისში და  
იწყო 24 ივლისს და დამთავრდა 13  
ივლისს. მისი ჩამოსვლა საბჭოთა სა-  
ქართველოში უკრაინის კულტურის  
გაცხობის და ორი მოძმე ერის ინტერ-  
ნაციონალური დაახლოვების ერთ-  
ერთ რგოლთაგანს წარმოადგენს.

საბჭოთა უკრაინის კულტურის ათ-  
დღიურს, დიდი კულტურულ - პო-  
ლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რო-  
მელიც გარკვეულად ლაპარაკობს ლე-  
ნინური ეროვნული პოლიტიკის სის-  
წორეზე, რომელიც გადაიქცა საბჭო-  
თა სოციალისტური უკრაინის კულ-  
ტურულ - პოლიტიკურ და მთელი  
ჩვენი სოციალისტურ მეურნეობის დე-  
მონსტრაციად.



— უკრაინის თეატრის ჩამოსვლა —

# რა მიაგებო ტაგიმორს

ახალგაზრდა იაპონელი კომუნის-  
ტი ტაგიმორი გემზე გავიცანი, რო-  
ცა ვლადივასტოკიდან იაპონიაში მი-  
ვდიოდი.

ტაგიმორი წელიწადნახევარს ცხოვ-  
რობდა საბჭოთა კავშირში და რუსუ-  
ლად რიგიანად ლაპარაკობდა. გზა-  
ზე მე და ის კარგად დავმეგობრდით.

იაპონიაში, ნავსადგურ ტსურუ-  
ვაში, მას დახვდნენ დედა და პატარა  
და. ესენი პირველი იაპონელი ქალები  
იყვნენ, რომელნიც მე ვნახე.

ჩვენ ერთად ჩავსხედით მატარებ-  
ელში, რომელიც მიგვიყვანდა ტსურ-  
რუგიდან იაპონიის სატახტო ქალაქ  
ტოკიოში. პატარა ვიწრო ვაგონში  
ბევრი ხალხი იყო.

მე ფანუარასთან მივედი. მოჩანდა  
იმდენი პატარა ოდენობის წყალმი-  
შვებულ ბრინჯის ყანები, თითქმის  
ბოსტნის კვლები. გლეხები, რომე-  
ლთაც დიდი ჭილის ქუდები ეხურათ,  
წახრილნი მუშაობდნენ. რკინის გზის  
ლიანდაგის მახლობლად კოხტად ჩა-  
მწკრივებულიყო თუთის ხეები.

ციმბირის უსაზღვრო მინდვრების  
შემდეგ გაივლით რამოდენიმე ათე-  
ულ კილომეტრს, სადაც ვერ შეხვ-  
დებით ვერც ერთ ადამიანს, ვერც  
ერთ სახლს. იაპონელების პატარა  
ყანები-კვლები, სადაც ხალხი ფუს-  
ფუსობდა, და სოფლები, რომელნიც  
განუწყვეტლივ მისდევდნენ ერთმა-  
ნეთს, მეტად უცნაური და ვიწრო მე-  
ჩვენებოდა. ტაგიმორიმ შეამჩნია ჩე-  
მი გაცემა.

— ჩვენ ცოტაოდენი მიწა გვაქვს, —  
სთქვა მან, — ამიტომ პატარა ნაკვე-  
ფებზე წამოყენება, და ხელს აწერს

თსაც კი არ ვტოვებთ დაუმუშავებელ-  
სს.

ვაგონის ფანჯარაში მოჩანდა პატა-  
რა მთები, საიდანაც ჩხრიალით ჩა-  
მორბოდა აქაფებული პატარა მდი-  
ნარეები და ჩანჩქერები. მთის ასეთ  
პატარა მდინარეს მრავლად შეხვდე-  
ბით იაპონიაში. ტაგიმორიმ მითხრა:  
ამ მდინარეებს ვიყენებთ ელექტროს  
მისაღებად და ამიტომ იაპონიას ელექ-  
ტროფიკაციის დარგში მეორე ადგი-  
ლი უჭირავს მსოფლიოში ჩრ. ამ. შე-  
ერთებულ შტატების შემდეგ.

მართლაც და, როდესაც დაღამდა,  
სოფლები ელექტრობამ გააჩირაღ-  
დნა.

ალბად, იაპონელ გლეხს ბევრი  
სასოფლო-სამეურნეო მანქანა აქვს?!  
— ვკითხე ტაგიმორის.

— არა, ელექტრობის გარდა ჯერ-  
ჯერობით არაფერი მოუცია კულ-  
ტურასა და ტექნიკას იაპონელ გლო-  
ხებისათვის; ისინი ყოველთვის ხე-  
ლით მუშაობენ, მანქანებს თითქმის  
არც კი იცნობენ.

ტაგიმორიმ მიაგმო იაპონიელი გლე-  
ხის ცხოვრების შესახებ. აუტანელი  
სიღარიბე ხშირად აიძულებს გლე-  
ხებს სულ იაფად გაჰყიდოს ფაბრიკა-  
ქარხნებში თავისი ქალიშვილები.  
სოფელში ჩამოდიან ფაბრიკა-ქარ-  
ხნების პატრონების აგენტები და ეუ-  
ბნებიან მოსახლეობას:

— ჩვენთან, ფაბრიკაში, მშენეი-  
რი პირობებია, დიდ ჯამაგირს ვა-  
ლევით და სამუშაო ადვილია.

დატაკ გლეხს თვალწინ წარმოუდგე-  
ბა ვალები გასტუმრება, ოჯახის  
სოქვა მან, — ამიტომ პატარა ნაკვე-  
ფებზე წამოყენება, და ხელს აწერს

გადის სამი წელი — და ფაბრიკიდან ბრუნდება მისი ქალიშვილი, რომლის ცნობაც კი ძნელია: აუტანელ მუშაობას მოუტენია, უდროოდ დაუბერებია. მას თან მოაქვს რამოდენიმე ათეული მანეთი, სულ ეს შეაგროვა თავისი „დიდი“ ჯამაგირით...

რა ეძლევათ თვეში ამ მუშებს.

— 15-20 მანეთი, მაგრამ ფულადი არ აძლევენ: ისინი იღებენ ტალონებს, რომლებითაც შეიძლება სხვადასხვა საქონლის ყიდვა ფაბრიკის დუქანში: თვის ბოლოს ირკვევა, რომ საწყალ ქალიშვილს არა თუ არაფერი ერგება, არამედ პირიქით, ვალიც დასდებია.

— რამდენ საათს მუშაობენ დღეში?

იპონელ მუშას თვეში მარტოდენ ერთი თავისუფალი დღე აქვს. დღე-ღამეში კი 16 საათს მუშაობს.

ბევრი მუშა იპონიაში?

— 10 მილიონი.

— ნუთუ? მერედა პროლეტართა ასეთ არმიას განა არ შეუძლია შეკავშირებულად და ორგანიზაციულად ბრძოლა?

ტაგიმორი სდუმდა, შემდეგ კი მიიხედმოიხედა, — ხომ არავინ არის რუსული ენის მცოდნეო, — და ჩუმად მითხრა:

— ჩვენ გვყავს მუშათა კომუნისტური პარტია. ის აფხიზლებს დაბეჩავებულ იპონელ მუშის გონებას, ბეჭდავს არალეგალურ ჟურნალ-გაზეთებს, დგამს წარმოდგენებს, სადაც საბჭოთა კავშირის ცხოვრებაა ასახული. ეს პარტია რაზმავს მუშებს ბრძოლისთვის.

მატარებელი მიქროდა ფაბრიკა-ქარხნების ელსადგურების მახლობლად.

დადამდა! მალე ტოკიოში მივალთ.

— პიონერები გყავთ? ვკითხე ჩემს თანამგზავს.

— ტაგიმორიმ კვლავ მიმოიხედა; ჩვენ არავინ არ გვაქცევდა ყურადღებას.

— მე აკი გავაცანით იპონელი პიონერი გოგონა?!


— სად?

— აი, — მანიშნა თავის დაზე, რომელიც არაფერს ლაპარაკობდა — მაგრამ ეს არავინ უნდა გაიგოს!.. იპონელ პიონერებსაც ისევე სდევნის პოლიცია, როგორც მუშებს.

მე ვუცქეროდი პატარა იტოს და ვფიქრობდი: ნუ თუ ამის დატუსაღებაც შეუძლიათ?!

ერთ თვეს ვიცხოვრე იპონიაში და დავრწმუნდი, რომ ყველაფერი, რაც მიაბნო გვაში ტაგიმორიმ, მართალი ყოფილა.

